პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 107 (4617)
1972 წ. 3 ივნისი, შაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე




მოსწავლეთა რესპუბლიკური...

## I თანრიგზე უკეთესი შედეგით

მიმდინარეობს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ველოსპორტში, კალათბურთსა და ჭადრაკში.

**მხატვრულ ტანვარჯიშში** ასპარეზობა დამთავრდა. გუნდური პირველობა მოიპოვა თბილისის ნაკრებმა (239,36 ქულა). II ადგილზე გავიდა ქუთაისის გუნდი (235,46), III — აჭარის კოლექტივი (205,19). პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობა ქუთაისელმა ნ. ქათამაძემ (44,25).

**ველოსიპედისტებმა** პირველ დღეს 25 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში სცადეს ძალები. გუნდურ შეჯიბრებაში უძლიერესი იყო თბილისის ნაკრები, პირად ჩათვლაში — თბილისელი ვ. ივანოვი.

**კალათბურთელთა** ტურნირის პირველი დღის შედეგები ასეთია: გოგონები. თბილისი — აფხაზეთი 74:32 (40:21), სამტრედია — აჭარა 67:66 (35:41), ქუთაისი — ჭიათურა 54:65 (28:24); ვაჟუკები. აფხაზეთი — სამტრედია 76:48 (36:17), ქუთაისი — აჭარა 61:48 (25:28).

**მძლეოსანთა** შეჯიბრებაში თბილისელმა ჭაბუკმა დ. მელაძემ 100 მ 10,8 წამში გაირბინა, რაც I თანრიგის ნორმატივზე უკეთესი შედეგია. მელაძემ სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა.

## ალექსანდრე მეტრეველი — ნახევარფინალში

**პარიზი, 1 ივნისი.** სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი ჩოგბურთში, თბილისელი ა. მეტრეველი საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა. მეოთხედფინალში მან სძლია ახალგაზრდა, ნიჭიერ იტალიელ ჩოგბურთელს ა. პანატას — 8:6, 7:9, 6:3, 6:3. ნახევარფინალში თბილისელი შეხვდება ესპანელ ა. ხიმენოს, რომელმაც ამერიკელი ს. სმითი დაამარცხა — 6:1, 7:9, 6:0, 7:5.

ნახევარფინალისტთა მეორე წყვილია ფრანგი პ. პრუაზი (მან საფრანგეთის ღია ჩემპიონატებში ორგზის გამარჯვებულს, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელ ი. კოდეშს აჯობა — 6:3, 6:8, 2:6, 6:2, 6:1) და ესპანელი მ. ორანტესი (დაამარცხა ახალგაზრდა ამერიკელი ჰ. სოლომონი — 6:4, 5:7, 6:3, 6:2).

**მოსკოვი, 31 მაისი.** მძლეოსნობის ისტორიაში ბადროს მტყორცნელმა ქალმა პირველად გადალახა 65-მეტრიანი ზღვარი. ეს გახლავთ ერევნელი ფ. მელნიკი, რომელიც უკონკურსოდ ასპარეზობდა „დინამოს" მძლეოსანთა შეჯიბრებაში ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე და დღეს 65,42 მეტრზე ტყორცნა ბადრო. ამ 29 წლის სპორტსმენმა თავისივე მსოფლიო რეკორდი 54 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

მელნიკის შედეგი საბჭოთა მძლეოსნების მეორე მსოფლიო რეკორდია ოლიმპიურ სეზონში.

აღსანიშნავია ამ შეჯიბრებაში მონაწილე სხვა სპორტსმენების შედეგებიც. იაროსლაველმა გ. ფილატოვამ ფოსბიურის ყაიდით 180 სმ სიმაღლე გადალახა, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს საბჭოთა სპორტსმენთა შორის. მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ვ. ლიახოვმა ბადრო 61,38 მეტრზე ტყორცნა, ხოლო ტალინელმა ვ. კუუსემიაემ — 60,38 მეტრზე.

• • •

**ტალინი, 1 ივნისი.** მშვილდოსანთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში კიდევ ხუთი საკავშირო რეკორდი დამყარდა: ლენინგრადელმა ა. პეუნოვამ 60 მეტრზე სროლაში პირველ დღეს 320 ქულა დააგროვა, ხოლო ორი დღის ჯამში — 627.

ლვოველმა ვალენტინა კოვპანმა 50-მეტრიან დისტანციაზე შეჯიბრებისას 308 ქულა მოაგროვა. ეს საკავშირო რეკორდი 3 ქულით აღემატება ამერიკელი ნ. მაიერსის მსოფლიო რეკორდს. ამერიკელის მიღწევას ერთი ქულით გადააჭარბა შვედმა ა.-ლ. ბერგლუნდმაც.

იმავე 50-მეტრიან მანძილზე სროლაში ორი საკავშირო რეკორდი დამყარდა ორი დღის ჯამში: მოსკოველმა ემა გაპჩენკომ 591 ქულა დააგროვა, ხოლო კიეველმა ვიქტორ სიდორუკმა — 631.

## მერვე პარტია

**ა. კარპოვი — ნ. გაფრინდაშვილი**

გრიუნფელდის დაცვა

**1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. cd მ:d5 5. e4 მ:c3 6. bc კg7 7. კc4 0—0 8. მe2 c5 9. 0—0 მc6 10. კe3 ლc7 11. ეc1 ეd8 12. კf4 ლd7 13. dc ლe8 14. კd5 კd7 15. კg5**

ყოველივე ეს უკვე იყო VI პარტიაში. მეტოქენი პრინციპულ ბრძოლას აგრძელებენ. ახალია კუშნირის უკანასკნელი სვლა, რომლის მიზანია მეტოქის ფიგურების განვითარების შეფერხება, მერე კი, როცა საჭირო შეიქნება, c5 პაიკის დაცვა.

**15. ... ეdc8 16. ლd2 მa5**

გაფრინდაშვილი ჩასწვდა პრეტენდენტის ჩანაფიქრს, მაგრამ თამაშის მცდარი გეგმა აირჩია. ჩვენი აზრით, უკეთესი იყო 16. ... e6 17. კb3 მe5 18. კe3 კc6 19. f3 ეd8 პერსპექტიული თამაშით.

**17. კe3 e6 18. კb3 კf8 19. ეfd1 ეc7?**

შეცდომაა. შავებს დაყოვნების უფლება არა აქვთ. მათ აქტიურად უნდა ითამაშონ, მით უმეტეს, რომ მa5 მუდმივ ზრუნვას მოითხოვს. ალბათ სჯობდა 19. ... კa4 20. ლc2 კb5 21. c4 კa6 და c5 პაიკზე თავდასხმით. ან 19. კc6 და შემდეგ ეd8. ახლა თეთრები ზედმეტ პაიკს ინარჩუნებენ და შავებს სტრატეგიულად უიმედო პოზიცია აქვთ.

**20. c4 მ:b3**

სხვა გზა არ იყო. 21. მc3 a6 22. კf4 e5 23. მd5! შემდეგ შავებს არაფერი უშველით.

**21. ab კc8**

რატომ არა 21. ... კc6. პასიური დაცვა თეთრების უპირატესობას კიდევ უფრო ნათელს ხდის.

**22. ლa5**

უფრო ძლიერია 22. ლd8.

**22. ... ეd7 23. მc3 კe7 24. მb5 ე:d1+ 25. ე:d1 კd7 26. მd6**

კუშნირი პაიკთა ძლიერ ცენტრს ღებულობს. უკეთესი არ იყო 26. მc7.

**26. ... კ:d6 27. cd f6 28. e5 f5 29. h4 ლc8 30. კh6 ლd8 31. ლb4**

ნონას უნდა ენდშპილში გადასვლა, სადაც სხვადასხვა ფერის კუთა არსებობა ყაიმის შანსს აძლევს. რა თქმა უნდა, კუშნირი ლაზიერებს არ ცვლის და შავი მეფის პოზიციას საგრძნობლად ავიწროებს. მაგრამ მაინც შეიძლებოდა 31. ლc7.

**31. ... ლb6 32. ლc3 მფf7 33. c5 ლd8 34. კg5 ლg8 35. ლe3 a6 36. კf6 ეc8 37. b4 ეc6 38. ლg5 ეc8 39. ეd3 h5 40. ეg3 ეe8**

აქ პარტია გადაიდო. კუშნირი მოემზადა შავი მეფის პოზიციის დასარბევად. ანალიზმა ცხადყო, რომ „შიშველი ხელებით" შავ მეფეს ვერაფერს დააკლებ. თამაშის განახლებისას გამოირკვა, რომ კუშნირი ამ დასკვნამდე მისულა. მან მოგების ეფექტური და მოკლე გზა აირჩია.

**41. ლh6 (ჩაწერილი სვლა) ეc8 42. მფh2 კb5 43. ლg5 ეe8 44. ეc8 კd7 45. b5**

პაიკების შეწირვით კუშნირი თავის ეტლს საიერიშო გზას უქმნის. შავები ბედს უნდა დაემორჩილონ. ისინი უძლური არიან რაიმე იღონონ.

**45. ... ab 46. c6 bc 47. ეa3 ეh8 48. ე:a8 ლ:a8 49. კd8**

შავები დანებდნენ. შამათი გარდუვალია. დაცვა მხოლოდ ლაზიერის შეწირვით შეიძლება.

**თ. გიორგაძე.**
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
რიგა.

• • •

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 5:3 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზუსტად ასეთივე ანგარიში იყო 1969 წლის ამავე მეტოქეთა მატჩში პირველი ნახევრის შემდეგ.

## ყველაზე ძლიერთ

**პარიზი, 1 ივნისი.** მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, მსოფლიო რეკორდსმენს, ზემძიმე წონის შესანიშნავ საბჭოთა ძალოსანს ვ. ალექსეევს საფრანგეთის სპორტის აკადემიის პრეზიდენტის თასი გადაეცა.

ქალთა შორის ლაურეატი გახდა მსოფლიო რეკორდსმენი თავისუფალი სტილით ცურვაში შ. გოულდი (ავსტრალია).

ამ საპატიო პრიზებით ყოველწლიურად აჯილდოებენ სპორტსმენებს მაღალი მიღწევებისთვის, სიმამაცისა და გამარჯვების რწმენისთვის.



**სურათზე:** ახალი სპორტის სასახლე ვილნიუსის ცენტრში. მისი ტრიბუნები თითქმის 6000 მაყურებელს იტევს.

ი. შეინისის ფოტო.

### ბათუმი

გაიმართა ველოსიპედისტთა ტრადიციული შეჯიბრება გაზეთ „საბჭოთა აჭარის" პრიზზე. სპორტსმენებს ხელვაჩაურის გზატკეცილზე 48-კილომეტრიანი მონაკვეთი უნდა გაევლოთ. თავი გამოიჩინეს ხავთობგადამმუშავებელი ქარხნის წარმომადგენლებმა ა. ვოლუნსკიმ, ს. სადრაძემ და მ. მელიკოვმა (ყველა — „განთიადი"). მათ ერთნაირი დრო ჰქონდათ — 1:13.13, მაგრამ საპრიზო ადგილები ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით გაინაწილეს.

**მ. კირაკოსიანი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## არბიტრები დაასახელეს

ზაფხულის მსოფლიო უნივერსიადას, რომელიც საზეიმოდ გაიხსნება 1973 წლის 15 აგვისტოს მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, თითქმის 1000 არბიტრი მოემსახურება.

უნივერსიადის საორგანიზაციო კომიტეტმა 1 ივნისს განიხილა და დაამტკიცა ათ სახეობაში შეჯიბრებების მთავარი მსაჯები. ესენი არიან: ნ. კალინინი (მძლეოსნობა), ი. ტიტოვი (სპორტული ტანვარჯიში), ი. უდრასი (ფარიკაობა), ა. ლოგინოვი (ფრენბურთი), გ. შახნაზაროვი (ჩოგბურთი), ვ. გუბანოვი (ცურვა), გ. მაზუროვი (წყალში ხტომა), ვ. რაშმაჯანი (წყალბურთი), ო. კამიშევი (კალათბურთი), ა. სოკოლოვი (ძალოსნობა, თუ ეს სახეობა უნივერსიადის პროგრამაში შევა ფისუ-ს აღმასკომის დამტკიცების შემდეგ). ყველა არბიტრი მოსკოველია, საერთაშორისო ან საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

მსოფლიო უნივერსიადის მომსახურე ჟურნალისტებისთვის ლუჟნიკის სპორტის სასახლეში შეიქმნება პრეს-ცენტრი, რომლის ხელმძღვანელადაც დანიშნულია ბ. ფედოსოვი („იზვესტია").

უნივერსიადის მონაწილენი მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში დაბინავდებიან. ასპარეზობის დღეებში უნივერსიტეტის კულტურის სახლთან ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კლუბი იმუშავებს.

უნივერსიადა 25 აგვისტოს დაუშვებს ალამს.

# შევუქმნათ ახალგაზრდობას წვრთნისა და ასპარეზობის საშუალება!

## SOS!

რესპუბლიკის რაიონებიდან რედაქციას ხშირად მოსდის წერილები, რომელთა ავტორებიც გვწერენ სოფლად სპორტული ბაზების უკმარობაზე, გვწერენ, რომ რედაქცია მოვალეა თითოეული კორესპონდენცია მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანოს, მოსთხოვოს პასუხი რაიონებისა და სოფლების მესვეურებს, ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის გამო. ახალგაზრდობას სურს თავისუფალი დრო სპორტულ მოედნებზე ვარჯიშსა და შეჯიბრებებს მოანდომოს, ამისთვის კი საჭიროა მათ უფროსებმა დაუჭირონ მხარი, ყველა კეთილ საქმეში დახმარების ხელი გაუწოდონ და გვერდში ამოუდგნენ.

ახლა კი ვნახოთ, რას გვწერენ ახალგაზრდები, რა უჭირთ მათ. ყველა დასახელებული ორგანიზაციიდან, მათგან, ვისაც უშუალოდ ეხება ახალგაზრდების საყვედური, **რედაქცია პასუხს ელის.**

**წერილი პირველი** (გალის რაიონის სოფელ გუდავის ახალგაზრდები). „ვის არ ვთხოვეთ, ვის არ შევჩივლეთ, მაგრამ საქმეს საშველი არ დაადგა. სოფელი საკმაოდ დიდია, მაგრამ საფეხბურთო მინდორი არა აქვს. გთხოვთ, დაგვეხმაროთ ნაკვეთის გამოყოფაში...“

**წერილი მეორე** (აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოს მოსწავლეები). „ფეხბურთის მინდორი გვაქვს, მაგრამ სავალალო მდგომარეობაშია: მოსახლეები სტადიონის ტერიტორიაზე ღორებს უშვებენ და მინდორი ერთიანად გადათხრილია. მდგომარეობის გამოსწორებისთვის არც კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზრუნავს, არც სკოლის დირექტორი. სწორედ ამის გამო ვერ ვვარჯიშობთ“.

**წერილი მესამე** (ბოლნისის რაიონის სოფელ ბალიჭის ახალგაზრდები). „ჩვენს სკოლას ამ სამიოდე წლის წინ ფეხბურთის მინდორი ჰქონდა და წარმატებაც არ გვაკლდა. მერე საბჭოთა მეურნეობის დირექციამ სტადიონის მომიჯნავე ტერიტორია მოსახლეებს ნაკვეთებად გაუნაწილა, მოსახლეებმა სტადიონის მეოთხედი ნაწილიც შემოიღობეს, დანარჩენზე კი მეურნეობის დირექციის განკარგულებით ბეტონის ბოძები ჩასვეს და ტერიტორია მეურნეობის სავარგულად აქციეს“.

**წერილი მეოთხე** (გორის რაიონის სოფელ ატენის ახალგაზრდები). „ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ არა და არ გამოგვიყო ნაკვეთი სტადიონის მოსაწყობად. მეტს ხომ არაფერს ვთხოვთ, დანარჩენი ჩვენზე იყოს, თავად ვიმუშავებთ. არც სკოლაში გვაქვს სპორტული ბაზა“.

**წერილი მეხუთე** (ხაშურის რაიონის სოფელ ტეზრის ახალგაზრდები). „ფეხბურთის მინდორი გვქონდა, მაგრამ საბჭოთა მეურნეობის დირექციის განკარგულებით ჩამოგვართვეს. ამ 0,15 ჰექტარზე ჯერ ქერი დათესეს, მერე სიმინდი, შემდეგ ხორბალი და ბოლოს იონჯა. მოსავალი ვერც ერთხელ ვერ მიიღეს, ვინაიდან მიწა ძალიან მწირია. რამდენიმეჯერ ვცადეთ გვეთამაშა, მაგრამ მეველემ ბურთი წაგვართვა და კინაღამ დაგვიჭირა. ნუთუ არ შეიძლება სტადიონი დაგვიბრუნონ?“.

**წერილი მეექვსე** (ხაშურის რაიონის სოფელ ქინძათის ახალგაზრდები). „ჩვენი სოფელი ალის სასოფლო საბჭოში შედის. სპორტული მოედნები არა გვაქვს. საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს ვთხოვეთ გამოეყოთ ერთი დამრეცი ნაკვეთი, რომელიც ქინძათსა და ახალ უბანს შორის მდებარეობს. თავად ვიმუშავებთ და მოვაწყობთ სპორტულ ბაზას, რომელიც ორივე სოფლის ახალგაზრდებს გაუწევს სამსახურს“.

**წერილი მეშვიდე** (გარდაბნის რაიონის ახალსოფლის ახალგაზრდები). „ჩვენში რაიონული შეჯიბრებები არ ტარდება. საერთოდ, სოფლად სპორტის განვითარებისთვის თითქმის არავინ ზრუნავს“.

**წერილი მერვე** (ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხაოს ახალგაზრდები). „სოფელში სპორტული ბაზები არა გვაქვს. მართალია, არის ფეხბურთის ერთი მინდორი, მაგრამ იგი იმდენად კეთილმოუწყობელია, რომ თამაში შეუძლებელია. სოფლის კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი შეძლებულია, მაგრამ მისი ხელმძღვანელები სპორტმოედნების მოწყობისთვის არ ზრუნავენ. 1969 წელს მე-3 ბრიგადაში ფეხბურთის მინდვრის მოწყობა დაიწყო, მაგრამ საქმე მალე მიატოვეს და მომავალი სარბიელი ბაყაყების საბუდრად იქცა. გაცნობებთ იმასაც, რომ ნაფიჩხაოს კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდმა 1971 წელს რაიონში პირველობა არავის დაუთმო“.

**წერილი მეცხრე** (მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ზედა დიმის ახალგაზრდები). „სოფელში ფეხბურთის უბრალო მინდორი გვქონდა, მაგრამ, რაც იქვე გვერდით სკოლა გაიხსნა, სკოლის დირექტორმა თამაში აგვიკრძალა. რამდენად სწორია მისი მოქმედება? თუ სწორია, სადღა ვითამაშოთ?..“

**წერილი მეათე** (ვეგეჭკორის რაიონის სოფელ მუხურჩის ფიზაღზრდის მასწავლებელი ჯ. დავითაია და ამ სკოლის მოსწავლეები). „მშვენიერი, კეთილმოწყობილი სტადიონი ჰქონდათ მუხურჩელ ახალგაზრდებს. აქ ისწავლეს ფეხბურთის თამაში ა. ღოღობერიძემ, მ. ხურცილავამ, აქვე იზრდებოდა საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავე რ. რურუა. ერთ მშვენიერ დღეს ეს სტადიონი თევზსაშენად გადააქციეს. მერე წყალი ამოშრა და დარჩა ცარიელი თხრილი... ჩაის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობამ ჩვენი არაერთგზის თხოვნის მერე ნაკვეთი გამოგვიყო. მუხურჩელმა მოსწავლეებმა შესანიშნავად მოაწყვეს ბაზა და ვარჯიშიც დაიწყეს, მაგრამ მათ ეს ბაზაც წაართვეს და საყანედ გამოიყენეს. ამჟამად რაიონის ხელმძღვანელობა ჩაერია საქმეში, მაგრამ საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ნ. დგებუაძე დუმს და არ გვეხმარება...“

**წერილი მეთერთმეტე** (მცხეთის რაიონის წყალსადენის დასახლების ახალგაზრდები). „გთხოვთ დაგვეხმაროთ, რომ დაგვიბრუნონ ფეხბურთის მინდორი, რომელიც უწინ გვქონდა და რატომღაც ჩამოგვართვეს...“

**წერილი მეთორმეტე** (ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის საშუალო სკოლის პიონერები). „ჩვენი სტადიონი გამოუყენებელია, ვინაიდან ძელები არა გვაქვს. სკოლის დირექციას რამდენიმეჯერ ვთხოვეთ დახმარება გაეწია სტადიონის შეკეთებაში, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს...“

**წერილი მეცამეტე** (მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთის მოსწავლეები). „სოფლის უბანში, რომელსაც ზეგანი ეწოდება, ბავშვებმა ფეხბურთის მინდორი და კალათბურთის უბრალო მოედანი მოვაწყვეთ, მაგრამ თამაში სასტიკად აგვიკრძალეს ბრიგადირმა რ. ცულაძემ, კოლმეურნეებმა ნ. კალანდარიშვილმა და ნ. პუხლოვმა. ადვნენ და ძელები დაგვიჩეხეს. სკოლის დირექტორმაც მათ დაუჭირა მხარი და სასტიკად დაგვსაჯეს. დასჯა ადვილია, გამოსავალი სადღაა?..“

**წერილი მეთოთხმეტე** (წითელი წყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს მოსწავლეები). „მართალია, სკოლის ახალი შენობა გვაქვს, მაგრამ სპორტდარბაზი კეთილმოუწყობელია, არ გაგვაჩნია საჭიდაო ლეიბები. არც ფიზაღზრდის მასწავლებელი გვყავს. სკოლა მონაწილეობას არ ღებულობს რაიონულ შეჯიბრებებში. მდგომარეობის გამოსწორებისთვის არავინ ზრუნავს...“

**წერილი მეთხუთმეტე** (ხობის რაიონის ახალსოფლის ახალგაზრდები). „ფეხბურთის მინდორი არა გვაქვს, მისი მოწყობისთვის კი არავინ ზრუნავს“.

**წერილი მეთექვსმეტე** (დაბა წყნეთის 137-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელები). „ჩვენს სკოლას სადაბო საბჭომ სტადიონისთვის ნაკვეთი გამოუყო. ბაზის მოსაწყობად მოსწავლეებმა ვიმუშავეთ, მაგრამ ზოგი სამუშაოს შესრულება ჩვენს ძალას აღემატება, საჭიროა ფულადი სახსრებიც, მაგრამ თანხის გაღება არავის სურს“.

# სიყალბე არავის ეპატიება

პარტიზანების პარკი კარგა ხანია თბილისელთა აქტიური დასვენების კერად იქცა. ყოველდღე, განსაკუთრებით კი შაბათ-კვირას, აქ უამრავი ხალხი მოდის ლისის ტბაზე ნავებით სასეირნოდ თუ საცურაოდ, სპორტულ ბაზებზე სათამაშოდ... ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულებისთვის აქ საუცხოო პირობებია შექმნილი. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ორჯონიკიძის რაიონის მეათეკლასელებს სწორედ ეს ადგილი შეურჩიეს.

18 საშუალო სკოლის ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი მოვიდა, რათა თავი გამოეცადა 100 მეტრზე რბენაში, 1000 მეტრზე კროსში, მარშგარბენში, ღერძზე მიზიდვაში, ბირთვის კვრაში, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში, ცურვაში...

მოსწავლეთა კოლექტივებს ფიზაღზრდის მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ. მოსვლა არც ზოგიერთი სკოლის დირექტორებმა დაიზარეს.

ტურნირის ხელმძღვანელმა, რაიონის სპორტსკოლის დირექტორმა გ. გუგუშვილმა ყველას თავისი სარბიელი მიუჩინა და ნორმატივების ჩაბარებაც დაიწყო.

ღონისძიება კარგად იყო ორგანიზებული. ბევრმა თავიც გამოიჩინა — რამდენიმე ნორმატივი ოქროს ნიშანზე ჩააბარა, მაგალითად, 62-ე სკოლის მოსწავლე ბ. კიკნაძემ 100 მ 13 წამში გაირბინა, 482 სმ სიგრძეზე გადახტა, ღერძზე აზიდვა 15-ჯერ გაიმეორა და 5-კილოგრამიანი ბირთვი 14 მეტრს გადააცილა. ყველა ეს შედეგი კომპლექსის III საფეხურის („ძალა და ვაჟკაცობა“) ცხრილით 16-18 წლის ჭაბუკებისთვის ოქროს სამკერდე ნიშნის მოთხოვნებს აღემატება.

ასევე გამოიჩინა თავი ბევრმა სხვა მოსწავლემ, მაგრამ ამ წერილში ყველას ვერ ჩამოვთვლით. დღეს უფრო საჭიროდ მიგვაჩნია ლაპარაკი ნაკლზე, რომელიც ჩრდილს აყენებს ჩვენი აღმზრდელების, ფიზკულტურის მასწავლებლების მუშაობას. შეჯიბრების ორგანიზატორებმა მთელ რიგ სახეობებში მდივნობა იმ სკოლების წარმომადგენლებს მიანდეს, რომელთა მოსწავლეებიც სარბიელზე გამოდიოდნენ, ალბათ დარწმუნებული იყვნენ, რომ ახალი კომპლექსის ნორმატივების მიმღებნი ძველ შეცდომებს აღარ დაუშვებდნენ, უწყისებში ყალბი შედეგების შეტანას არ იკადრებდნენ.

მაგრამ იმედი არ გამართლდა. სპორტსმენთა შედეგებს მდივნები უფროსების კარნახითა თუ პირადი „თაოსნობით“ იმდენს უკლებდნენ ან უმატებდნენ, რამდენიც ნორმატივების ჩასაბარებლად კმაროდა. ეს, რა თქმა უნდა, ყველა კოლექტივზე არ ითქმის, მაგრამ 56-ე და 63-ე სკოლების მოსწავლეებს რ. ხანიევას და ნ. კარგანოვას, რომლებსაც შეჯიბრების ოქმებში შედეგების შეტანა დაავალეს, სიყალბისგან უკან არ დაუხევიათ.

ხანიევამ 56-ე სკოლის მოსწავლეებს ვ. აბრამოვს, ს. ავაქიანს, ი. დგებუაძესა და მ. გასპაროვს 100 მეტრის გარბენისთვის შესაბამისად 14,2, 14,2, 13,9 და 13,8 წამი დაუწერა, სინამდვილეში კი დისტანციის დაფარვას მათ შესაბამისად 15,6, 15,6, 15,2 და 14,9 წამი მოანდომეს. არ ვიცით, ამ სკოლის დანარჩენ ათ მოსწავლესაც ასეთივე „დახმარება“ გაუწიეს თუ არა, მაგრამ რაც ვნახეთ, ისიც საკმარისი იყო.




კარგანოვამ ბირთვის კვრაში შეჯიბრებისას „იმარჯვა“ — თანასკოლელ გ. აჯუნცევს 40 სმ წაუმატა, ვ. მაისურაძეს — 105 სმ, გ. სლავინსკის — 30 სმ.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ნორმატივების მიზანი საბჭოთა ადამიანების მტკიცე ჯანმრთელობისთვის ზრუნვაა. რა საჭიროა სიყალბე ამ საქმეში? ვისაც ნორმატივების ჩაბარება არ შეუძლია, მათთვის მოსამზადებელი ჯგუფები უნდა გაიხსნას. ვინც კომპლექსის ნორმატივებს პირველ სტარტზე ვერ ჩააბარებს, მეორედ, მესამედ, მეათედ სცადოს ძალა, ვარჯიში რას გვავნებს, თუ არ გვარგებს?

ერთი რამ შეჯიბრების ორგანიზატორებსაც უნდა ვუსაყვედუროთ: ლისის ტბის ნაპირზე ქვიშაზე მოწყობილ 100-მეტრიან ზოლზე რბენაში ნორმატივების ჩაბარება მეტისმეტად საეჭვოა. ეს სახეობა თბილისის „ლოკომოტივის“ ან ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე უნდა გადაეტანათ. სხვა სახეობებისთვის კი პარტიზანთა პარკში მართლაც დამაკმაყოფილებელი პირობებია, თუმცა კეთილმოწყობა ზოგიერთ სხვა სექტორსაც არ აწყენდა.

**ო. გელაშვილი.**



დაიწყო სსრ კავშირის პირველობა „ბ“ ჯგუფის მოტობურთელთა გუნდებისთვის, რომელშიც თბილისის „ივერიაც“ მონაწილეობს. თბილისელებს ამას წინათ თემქ-ის დასახლების სტადიონზე მატჩი ჰქონდათ ვოლგოგრადის ნაკრებთან. მასპინძლები, აშკარა უპირატესობის მიუხედავად, დამარცხდნენ — 0:1.

სამაგიეროდ, ჩვენმა „ივერიამ“ წარმატება იზეიმა მეორე ტურის შეხვედრაში მახაჩყალის „კასპიისთან“: ძლიერი მეტოქე დაამარცხა ანგარიშით 3:1.

* * *

სურათზე: თბილისისა და ვოლგოგრადის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# ცვლილებები შეჯიბრების წესებში

ტანვარჯიშის საკავშირო ფედერაციის დადგენილებით, სპორტული ტანვარჯიშის საერთაშორისო წესებში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, 1972 წლის 15 მარტიდან ტანმოვარჯიშე ვაჟთა ასპარეზობის წესებში ზოგი რამ შეცვლილია: 1. ახალი წესების მიხედვით, სავალდებულო და ნებისმიერი ხტომისთვის ყველა თანრიგის ტანმოვარჯიშეს მხოლოდ ერთი ცდა ეძლევა. როდესაც პროგრამით ორი სხვადასხვა ნახტომია გათვალისწინებული, ტანმოვარჯიშეს თითოეულისთვის თითო ცდა ეძლევა (თითო გამორბენით); 2. გამორბენის სიგრძე 20 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს.

თუ გამორბენის სიგრძე მეტი იქნა, ტანმოვარჯიშეს 0,3 ქულა აკლდება.

ამ ცვლილებების გამო გვინდა კიდევ ერთხელ მოვაგონოთ მწვრთნელებსა და სპორტსმენებს, რომ დროა თავი დავანებოთ გამორბენის მანძილის ნაბიჯებითა და ტერფებით გაზომვის მოძველებულ ხერხს და სანტიმეტრებით აღნიშვნაზე გადავიდეთ.

გამორბენის სიგრძე 20 მეტრის ფარგლებში უნდა დავადგინოთ წვრთნის პროცესში, ინდივიდუალურად. ამ დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ სპორტსმენის სიჩქარის განვითარების უნარი. ის ტანმოვარჯიშე, რომელიც მაქსიმალურ სიჩქარეს შედარებით გვიან ავითარებს, გამორბენს მეტ დროს ანდომებს.

დაკვირვებიდან ჩანს, რომ გამორბენის სიგრძე სტაბილური არ არის. იგი იცვლება სასწავლო-საწვრთნელი წლის მანძილზე სპორტულ ფორმაში შესვლასთან დაკავშირებით, უშუალოდ წვრთნისა და შეჯიბრების პროცესში — ემოციური მდგომარეობისა და გარემო პირობების მიხედვით (სად სრულდება ვარჯიში — ღია ცის ქვეშ, შენობაში, რეზინის ბილიკზე, უბილიკოდ თუ სხვ.). გამორბენის სიგრძის დადგენისთვის და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი შესწორების შეტანისთვის მიზანშეწონილია აღინიშნოს ორი ხაზი: პირველი—გამორბენის დასაწყისში — „სასტარტო“, მეორე კი ცალი ფეხით წინასწარი არეკნის ადგილას — „საკონტროლო“.

გამორბენის მანძილის ზუსტად დადგენა უზრუნველყოფს ბოგიდან მძლავრ არეკნს და შესაბამისად — სრულყოფილ ნახტომს.

**ს. თედეევი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ტანვარჯიშის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექტორის მოადგილე.**

**ტანვარჯიშში**

[illegible]

**კასპი**

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში ქვემო ჭალის კოლექტივმა მოიგო. II ადგილზეა ზემო ხანდაკის ნაკრები, III — ყარალაჯის კოლმეურნეობის გუნდი. პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები დაიკავეს დ. გოგიბედაშვილმა (ზემო ხანდაკი), ა. ჩომახიძემ და გ. გოხელაშვილმა (ორივე — ქვემო ჭალა).

**ლ. ელისაბედაშვილი.**

**ქარელი**

რაიონის სოფლის სკოლების მძლეოსანთა პირად-გუნდურ შეჯიბრებაში 24 კოლექტივი ასპარეზობდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა აგარელთა ნაკრებმა — 296 ქულა.

**გ. ლურსმანაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

## ცვლილებები კალენდარში

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მონაწილეობს ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩებში, აგრეთვე, ბრაზილიის დიდ საერთაშორისო ტურნირში, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ცვლილებები შეიტანა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში. ქვემოჩამოთვლილი მატჩები შედგება შემდეგ დღეებში:

„ზარია" — „დნეპრი" — **20 ივნისს;** „ზენიტი" — „დინამო" (კიევი) — **2 ივლისს;** „ტორპედო" — „ზარია" — **14 ივლისს;** ცსკა — „დინამო" (მინსკი), „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" — **15 ივლისს:** „დინამო" (კიევი) — „ლოკომოტივი", „დინამო" (მინსკი) — „ზარია", „დნეპრი"—„დინამო" (თბილისი) — **28 ივლისს.**

# ტორპედოელები ლიდერობას ინარჩუნებენ

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 31 მაისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 3:0 (2:0).

„ტორპედო": კავაზაშვილი, მაზიაშვილი, რეხვიაშვილი (ფრიდმანი), ჰოხონელიძე, წვერავა, ოქროპირაშვილი, ლენიოვი, ზ. სილაგაძე, ვეკუა, ჯ. სილაგაძე, ჭოლაძე (შელია).

„ურალმაში": ენაკინი, ტურგუნოვი (ხომოვი), გოლოვკოვი, რამიშინი, ეროხინი, ჟოსი (კოჟუბა), კუდასოვი, კონშინი, ატამალიანი, ჟურავლიოვი, კომალიევი.

მსაჯი ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

დუბლიორები — 2:0 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

ბოლო ორ ტურში სტუმრად ჩატარებული მატჩებიდან ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მხოლოდ ქულა ჩამოიტანეს შინ. გუნდისთვის, რომელიც გათამაშებას ლიდერობს და უმაღლეს ლიგაში დაბრუნების რეალური შანსები აქვს, ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა. ამიტომ ტორპედოელთა წინაშე გარკვეული ამოცანა იყო დასახული: აუცილებლად მოეპოვებინათ 2 ქულა „ურალმაშთან". ამასთან, ნუ დავივიწყებთ, რომ „ტორპედოს" თავის მინდორზე წლეულს ჯერ არ დაუკარგავს ქულა. საფიქრებელი იყო, რომ ამ ტრადიციას იგი არც ამჯერად უღალატებდა.

ასეც მოხდა. მატჩის დაწყებიდან გავიდა სულ რამდენიმე წუთი და მასპინძლებმა უკვე საფუძვლიანად შეუტიეს მეტოქეს. ქუთაისელთა დაცვამ თავიდანვე ზუსტად, შეთანხმებულად ითამაშა და შეძლო სტუმრების თავდამსხმელთა ნეიტრალიზება. ამ რგოლიდან ზუსტი გადაცემები მისდიოდათ ნახევარმცველებს, რის შემდეგ გუნდი სისტემატურ იერიშებს ახორციელებდა.

ანგარიში გაიხსნა მე-8 წუთზე: მაზიაშვილმა მოაწოდა საჯარიმო, ვეკუამ კომბინაცია გააგრძელა ჭოლაძისკენ და ამ უკანასკნელმა ზუსტად დაარტყა მიზანში.

ამის შემდეგ იმავე ჭოლაძეს გაცილებით იოლ ვითარებაში მიეცა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მერე კი ოქროპირაშვილმა და წვერავამ ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტები და მხოლოდ 35-ე წუთზე შეძლო ჯ. სილაგაძემ თავისი გუნდის კიდევ უფრო დაწინაურება — 2:0.

ერთი საგოლე მომენტი ჰქონდა „ურალმაშსაც", მაგრამ ჰოხონელიძემ ზედ კარის ხაზთან მოუსწრო ჟურავლიოვის მიერ დარტყმულ ბურთს.

ტორპედოელებს არ შეუწყვეტიათ შეტევები შესვენების შემდეგაც. ბურთის გატანის შესაძლებლობანი მიეცათ ლენიოვს, ვეკუას, ჯ. სილაგაძეს. ბოლოს, 64-ე წუთზე, ჯ. სილაგაძემ გამოასწორა თავისი შეცდომა და მესამე ბურთი მოათავსა სტუმრების კარში.

 შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

• • •



სურათზე: ტორპედოელთა ნახევარმცველი შ. ოქროპირაშვილი (მუქ მაისურში) შეტევის დროს.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

I ლიგა

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 3:1, „კრივბასი" (კრივოი როგი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 3:0, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 2:0, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 1:1, „პამირი" (დუშანბე) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:0, „ალგა" (ფრუნზე) — „დინამო" (ლენინგრადი) 1:1, „შახტიორი" (დონეცკი) — „ზვეზდა" (პერმი) 2:0, „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 1:4, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" | 10 | 7 | 1 | 2 | 17—5 | 15 |
| „შახტ." (დ.) | 11 | 5 | 5 | 1 | 15—5 | 15 |
| „ფახთაქ." | 11 | 6 | 3 | 2 | 12—8 | 15 |
| „პამირი" | 11 | 6 | 3 | 2 | 11—10 | 15 |
| „ჩერნომორ." | 9 | 5 | 2 | 2 | 19—9 | 12 |
| „შახ." (ყ.) | 10 | 4 | 4 | 2 | 12—8 | 12 |
| „ზვეზდა" | 10 | 4 | 4 | 2 | 8—5 | 12 |
| „სპარტაკი" | 11 | 5 | 2 | 4 | 14—14 | 12 |
| „შინიკი" | 11 | 5 | 2 | 4 | 10—10 | 12 |
| „კრ. სოვეტ." | 10 | 1 | 9 | 0 | 10—9 | 11 |
| „ავტომობ." | 10 | 3 | 4 | 3 | 11—11 | 10 |
| „მეტალის." | 11 | 3 | 4 | 4 | 12—13 | 10 |
| „ალგა" | 11 | 1 | 7 | 3 | 9—8 | 9 |
| „კრივბასი" | 10 | 3 | 3 | 4 | 12—16 | 9 |
| „მეტალურ." | 10 | 2 | 4 | 4 | 12—13 | 8 |
| „დინამო" | 10 | 2 | 3 | 5 | 8—12 | 7 |
| „სტროიტ." | 11 | 2 | 3 | 6 | 11—21 | 7 |
| „ნისტრუ" | 9 | 2 | 2 | 5 | 4—12 | 6 |
| „ურალმაში" | 10 | 1 | 3 | 6 | 9—15 | 5 |
| „ტექსტილ." | 10 | 0 | 4 | 6 | 7—19 | 4 |

II ლიგა III ზონა

31 მაისს შედგა მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები: „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „მერცხალი" (მახარაძე) 4:1, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „დინამო" (ბათუმი) 0:1, „შრომითი რეზერვები" (კურსკი) — „დილა" (გორი) 0:2, „სალუტი" (ბელგოროდი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:0, „დინამო" (ბრიანსკი) — „ზვეზდა" (ტირასპოლი) 2:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) 1:1, „სპარტაკი" (ორიოლი) — „დრუჟბა" (მაიკოპი) 0:0, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:0, „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 9 | 5 | 3 | 1 | 15—2 | 13 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 8 | 5 | 3 | 0 | 13—3 | 13 |
| „დინამო" (ბათუმი) | 7 | 4 | 2 | 1 | 9—5 | 10 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 8 | 3 | 4 | 1 | 6—2 | 10 |
| „დილა" (გორი) | 9 | 4 | 2 | 3 | 9—6 | 10 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 8 | 4 | 2 | 2 | 7—5 | 10 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 8 | 5 | 0 | 3 | 10—9 | 10 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 9 | 3 | 4 | 2 | 7—6 | 10 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 8 | 4 | 1 | 3 | 10—12 | 9 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 8 | 2 | 4 | 2 | 9—8 | 8 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 9 | 2 | 3 | 4 | 8—9 | 7 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 8 | 2 | 3 | 3 | 7—9 | 7 |
| „დინამო" (სოხუმი) | 7 | 2 | 3 | 2 | 6—8 | 7 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 8 | 3 | 1 | 4 | 5—7 | 7 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 8 | 2 | 3 | 3 | 6—9 | 7 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 8 | 2 | 2 | 4 | 5—11 | 6 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 8 | 2 | 1 | 5 | 10—12 | 5 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 9 | 0 | 4 | 5 | 4—10 | 4 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 9 | 0 | 3 | 6 | 3—16 | 3 |

საქართველოს ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილები

II ჯგუფი

მდგომარეობა 1 ივნისისთვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავტომობილისტი" (ცხინვალი) | 10 | 7 | 0 | 3 | 28—7 | 14 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 10 | 6 | 2 | 2 | 18—10 | 14 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 10 | 6 | 2 | 2 | 11—5 | 14 |
| „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) | 9 | 6 | 0 | 3 | 17—8 | 12 |
| „შირაქი" (წითელი წყარო) | 9 | 5 | 2 | 2 | 8—7 | 12 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 10 | 5 | 0 | 5 | 13—12 | 10 |
| „მევენახე" (ვაზისუბანი) | 9 | 4 | 2 | 3 | 11—19 | 10 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 10 | 4 | 1 | 5 | 18—16 | 9 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 9 | 4 | 1 | 4 | 13—12 | 9 |
| „მევენახე" (ბოლნისი) | 8 | 3 | 2 | 3 | 12—13 | 8 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 10 | 3 | 2 | 5 | 11—13 | 8 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 9 | 2 | 3 | 4 | 5—9 | 7 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 8 | 3 | 1 | 4 | 5—11 | 7 |
| „კოლმეურნე" (ტიბაანი) | 8 | 2 | 2 | 4 | 11—14 | 6 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 9 | 1 | 2 | 6 | 5—12 | 4 |
| „ბარისი" (თეთრი წყარო) | 7 | 2 | 0 | 5 | 8—20 | 4 |
| „მშენებელი" (წალკა) | 5 | 1 | 0 | 4 | 6—12 | 2 |

მოგვყავს I ზონის გუნდების შეხვედრათა შედეგები: „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) — „შევარდენი" (თბილისი) 2:0. ახმეტის „ბახტრიონს" მოგება ჩაეთვალა „შევარდენთან".

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 9 | 8 | 0 | 1 | 33—7 | 16 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 9 | 7 | 2 | 0 | 22—4 | 16 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 10 | 5 | 2 | 3 | 14—12 | 12 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 8 | 4 | 3 | 1 | 12—5 | 11 |
| „განახლება" (ადიგენი) | 9 | 5 | 1 | 3 | 16—10 | 11 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 9 | 5 | 0 | 4 | 14—12 | 10 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 7 | 4 | 1 | 2 | 18—6 | 9 |
| „დიოსკურია" (სოხუმი) | 10 | 4 | 1 | 5 | 20—15 | 9 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 9 | 4 | 1 | 4 | 11—8 | 9 |
| „მზიური" (გალი) | 9 | 4 | 1 | 4 | 5—12 | 9 |
| „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) | 8 | 2 | 3 | 3 | 20—9 | 7 |
| ხდკ (სამტრედია) | 8 | 2 | 3 | 3 | 8—12 | 7 |
| „ბანთიადი" (აბაშა) | 10 | 3 | 1 | 6 | 6—17 | 7 |
| „კომეტა" (ფოთი) | 6 | 2 | 1 | 3 | 7—5 | 5 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 8 | 1 | 2 | 5 | 8—12 | 4 |
| „კახაბერი" (ხელვაჩაური) | 9 | 1 | 1 | 7 | 9—46 | 3 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 8 | 0 | 1 | 7 | 3—34 | 1 |

## მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გან. განყ. (თბილისი) | 15 | 10 | 4 | 1 | 41—7 | 24 |
| ახ. საფ. სკ. (თბილისი) | 15 | 10 | 3 | 2 | 32—9 | 23 |
| „ბანთიადი" | 15 | 10 | 3 | 2 | 27—12 | 23 |
| „ტორპედო" | 15 | 9 | 4 | 2 | 29—9 | 22 |
| „დინამო" (ბ.) | 15 | 7 | 6 | 2 | 19—10 | 20 |
| „სპორტინტ." | 15 | 7 | 4 | 4 | 19—20 | 18 |
| „დინ." (თბ.) | 15 | 7 | 3 | 5 | 20—11 | 17 |
| „ავაზა" | 15 | 6 | 3 | 6 | 19—28 | 15 |
| „მეტალურგი" | 15 | 4 | 6 | 5 | 17—19 | 14 |
| „დილა" | 15 | 5 | 3 | 7 | 20—18 | 13 |
| „მერცხალი" | 15 | 4 | 3 | 8 | 16—34 | 11 |
| მწვრთნ. სკ. | 15 | 2 | 5 | 8 | 8—23 | 9 |
| ახ. საფ. სკ. (გაგრა) | 15 | 4 | 1 | 10 | 14—32 | 9 |
| ახ. საფ. სკ. (თელავი) | 15 | 1 | 6 | 8 | 11—24 | 8 |
| „გურია" | 15 | 3 | 1 | 11 | 11—25 | 7 |
| „კოლხეთი" | 15 | 1 | 1 | 13 | 7—29 | 3 |

**შენიშვნა:** ვინაიდან სოხუმის „დინამოში" თამაშობდნენ ასაკგადაცილებული ფეხბურთელები, გუნდი მოხსნილია გათამაშებიდან.

# მღვანე მინდვრებზე

ბურგოსი, 1 ივნისი. ესპანეთის ამ ქალაქში ფრედ (3:3) დამთავრებულმა მატჩმა ესპანეთისა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდებს შორის მიუნქენის ოლიმპიადის ფინალურ ტურნირში გაიყვანა პოლონელები, რომლებმაც 6 ქულა დააგროვეს და ყველას აჯობეს ევროპის II შესარჩევ ჯგუფში. ბულგარელებს 5 ქულა აქვთ, ესპანელებს — 1.

ათენი, 1 ივნისი. საბერძნეთის ფეხბურთელებთან წაგების (1:2) მიუხედავად, ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა: ეს წარმატება თავის მინდორზე გამარჯვებამ მოუტანა — 2:0. ჩეხოსლოვაკიის გუნდის მეტოქეს სსრ კავშირ — ბულგარეთის მატჩები გამოავლენს.

როსტოკი, 1 ივნისი. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში IV ადგილზე გასულმა ურუგვაის ნაკრებმა თავისი ევროპული ტურნეს მეორე მატჩი აქ გამართა: ფრედ ითამაშა გდრ-ის ნაკრებთან — 0:0.

ბერლინი, 1 ივნისი. გდრ-ისა და ინგლისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი ფრედ დამთავრდა — 2:2. შეხვედრას სჯიდა მოსკოველი არბიტრი ვ. ლიპატოვი.

# თასი „აიაქსს" დარჩა

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების იდეა, როგორც ცნობილია, ეკუთვნის ფრანგულ სპორტულ გაზეთ „ეკიპს". ამ პრიზის მფლობელები სხვადასხვა წლებში იყვნენ პორტუგალიის „ბენფიკა", იტალიის „ინტერნაციონალე" და „მილანი", შოტლანდიის „სელტიკი", ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი", ჰოლანდიის „ფეიენოორდი" და „აიაქსი", ხოლო მადრიდის „რეალმა", რომელმაც 7-ჯერ მოიპოვა იგი, ტურნირის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით სამუდამო მფლობელობაში დაიტოვა თასი.

ახალი პრიზი ძველის გადიდებულ ასლს წარმოადგენს. მას ახლა შესანახად გამარჯვებულებს არ გადასცემენ: მასზე მხოლოდ იწერება ახალი მფლობელის სახელი, გუნდი კი ღებულობს პრიზის დუბლიკატს, ხოლო ფეხბურთელები — მის მინიატურულ ასლებს.

31 მაისს როტერდამში შედგა ჩემპიონთა თასის წლევანდელი გათამაშების ფინალური მატჩი ჰოლანდიის „აიაქსსა" (როტერდამი) და იტალიის „ინტერნაციონალეს" (მილანი) შორის. ჰოლანდიელებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა და შეძლეს მისი მოგება ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გაიტანა „აიაქსის" 25 წლის თავდამსხმელმა ი. კრუიფმა. პირველად მან კარგად გამოიყენა „ინტერნაციონალეს" მცველთა შეცდომა, ხოლო შემდეგ ზუსტად შეარჩია ადგილი კარის წინ კუთხური მოწოდებისას.

„აიაქსი" მეორე წელია ინარჩუნებს ჩემპიონთა თასს.

# ბობი ორი მოსკოვს ესტუმრება?..

პროფესიული ჰოკეის უმაღლესი ლიგის (ნჰლ) ყველაზე საპატიო პრიზი — „სტენლის თასი" — მოიპოვა ბობი ორის გუნდმა „ბოსტონ-ბრიუინზმა". ექვსი მატჩი დასჭირდათ ბოსტონელებსა და ნიუიორკელებს, რათა ფინალში ურთიერთობები გაერკვიათ. მანამდე ბოსტონელებმა I ადგილი დაიკავეს ლიგის ჩემპიონატის „აღმოსავლეთის ჯგუფში", სადაც ერთმანეთს შეხვდა თოთხმეტივე გუნდი.

გასული წლების მსგავსად, პირადი პრიზების ყველაზე დიდი მოსავალი ერგო ბობი ორს, რომელსაც ექსპერტები ერთხმად ასახელებენ აშშ-სა და კანადის საუკეთესო პროფესიონალ ჰოკეისტად, ხოლო ზოგიერთს კი იგი ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ მიაჩნია. ორს მიეკუთვნა პრიზები: „ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე", „სტენლის თასის" მატჩების ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშე" და „ლიგის საუკეთესო მცველი".

„ყველაზე შედეგიანი მოთამაშის" პრიზი ზედიზედ მეორე წელია ორის თანაკლუბელმა ფილ ესპოზიტომ მოიპოვა. „სეზონის უძლიერეს დამცველად" აღიარეს კენ დრაიდენი — „მონრეალ კანადიენსის" მეკარე. „ვოლკიპერების საუკეთესო დუეტის" გვირგვინი გაიყვეს ტონი ესპოზიტომ და გარი სმითმა „ჩიკაგო ბლეკ ჰოუქსიდან". ჟან რატელმა — „ნიუ-იორკ რეინჯერსის" ცენტრფორვარდმა—მიიღო „ყინულის ჯენტლმენის" ჯილდო. ამ პრიზით აჯილდოებენ ჰოკეისტს, რომელიც თამაშში ეფექტურობას კორექტულობასთან ათავსებს.

ახლახან დამთავრებულმა სეზონმა გული გაუტეხა ჰოკეის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს ამ თამაშის სამშობლოში. მხოლოდ ტელევიზორით შეეძლოთ კანადის გულშემატკივრებს ენახათ ჰოკეის მარათონის უკანასკნელი აკორდი — „სტენლის თასის" ნახევარფინალები და ფინალი. დასკვნითი, ყველაზე წარმტაცი მატჩები ერთმანეთში ითამაშეს ბოსტონის, ნიუ-იორკის, ჩიკაგოსა და სანტ-ლუისის კლუბებმა. დასახელება კი ამ ქვეყანაში ყველაზე პოპულარული ტელეგადაცემისა „ჰოკეის საღამო კანადაში", რომელსაც ამერიკის მოედნებიდან აწარმოებდნენ, კიდევ ერთხელ მწარედ ახსენებდა კანადელებს ნჰლ-ში ამერიკული დოლარის ბატონობის სამწუხარო ფაქტს. თუმცა ლიგის თოთხმეტივე კლუბი თითქმის მთლიანად კანადელებითაა დაკომპლექტებული, მხოლოდ „მონრეალ კანადიენსი", „ტორონტო მეიპლ ლიფზი" და „ვანკუვერ კანუქსი" იცავენ ჰოკეის სამშობლოს ღირსებას.

შემდეგ სეზონში დაგეგმილია ნჰლ-ს გაზრდა 16 გუნდამდე. ორივე ახალბედა „ამერიკელი" იქნება. თანაც, ერთი მათგანი იქნება ატლანტაში, ჯორჯიას შტატში — შეერთებული შტატების „შორეულ სამხრეთში", სადაც არც თოვლია, არც ყინული.

სეზონი დამთავრებულია და ახლა კანადაში უდიდესი ინტერესით მოელიან სექტემბერს — შეხვედრებს საბჭოთა და კანადის საუკეთესო ჰოკეისტებს შორის. ტელევიზიამ კანადის გუნდის საუკეთესო შემადგენლობაზე გამოაცხადა კონკურსი, რომელშიც ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობის მიღება. წინადადება ბევრი შემოდის, მაგრამ ჯერჯერობით მაინც არ არის ცნობილი, ვინ გამოვა მეკერდზე ნეკერჩხლისფოთლიანი სამოსით. მაგრამ ბევრი ამერიკული კლუბის პატრონები, რომელთაც სრულიად არ აწუხებთ კანადის ჰოკეის პრესტიჟი, უკვე აცხადებენ, რომ არ გაათავისუფლებენ „თავიანთ მოთამაშეებს".

ამ დღეებში. კანადის ჰოკეიმ კიდევ ერთი მტკივნეული დარტყმა იწვნია: ამერიკის სამოყვარულო ჰოკეის ყველაზე საპატიო პრიზი — „ალანის თასი" მიმდინარე სეზონში აშშ-ს კლუბ „სპოკეინ ჯეტსს" ერგო.

კანადელ გულშემატკივრებს სანუგეშოდ ისღა დარჩენიათ, რომ „სპოკეინ ჯეტსის" უკლებლივ ყველა მოთამაშე კანადელია. მათ შორისაა საბჭოთა ნაკრებელებისთვის ცნობილი ჰარგრივსი, რომელიც ნეკერჩხლის ფოთლის ქვეყნის ეროვნულ სამოყვარულო ნაკრებში გამოდიოდა.

მაგრამ, განა დიდი ნუგეშია, რომ მოყვარულები პროფესიონალთა კვალდაკვალ „ნეკერჩხლის ფოთლებს" მწვანე დოლარებსა და შეერთებულ შტატებში ნაბოძებ სხვადასხვა შეღავათზე ცვლიან?

ჯერჯერობით კი პრესაში ძალიან ხშირად გამოდიან ნჰლ-ის პროფესიონალები, რომელთაც საბჭოთა ჰოკეისტებთან უთამაშიათ. მათი რიცხვი არც ისე ცოტაა. ამჟამად ნჰლ-ს კლუბებში გამოდიან სპორტის საბჭოთა მოყვარულთათვის კარგად ცნობილი კანადის სამოყვარულო ნაკრების მოთამაშეები დრაიდენი, პინდერი, მაკმილანი, დემარკო, ო'ში. ნჰლ-ში ძალები მოსინჯეს მეკარე სტიფენსონმა და თავდამსხმელმა ჰაკმა, რომელიც ვანცლილ სეზონში დასავლეთის პროფესიული ჰოკეის ლიგის საუკეთესო მოთამაშედ იქნა აღიარებული.

ყველა კანადურმა გაზეთმა დაუთმო ადგილი ლეგენდარული მეკარე პლანტის მოგონებებს. იგი ახლა „ტორონტო მეიპლ ლიფზში" გამოდის. პლანტი საბჭოთა გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა იმ ნაკრების კაპიტნად, რომელიც შედგენილი იყო უმცროს პროფესიონალთა წარმომადგენლებისა და „მონრეალ კანადიენსის" ჭაბუკთა გუნდისგან

— არაფერი შეედრება იმ შეხვედრას, — თქვა პლანტმა, რომელსაც ასობით მატჩი უთამაშია ნჰლ-ში. — ასეთი დაძაბულობა არასოდეს განმიცდია. მომავალი შეხვედრები მოვლენა იქნება ჰოკეიში.

ვ. ჩერნიშოვი.
(საკდესის კორ.).

ოტავა.

# ტრადიცია არ ირღვევა

ლოზანა, 1 ივნისი. 1972 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშები ამჯერადაც ყველა მონაწილე ქვეყნის დელეგაციათა აღლუმით დაიწყება. ეს ითქვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) აღმასკომის სხდომაზე, ოლიმპიადის ორგანიზატორთა მოხსენების განხილვის დროს. საორგანიზაციო კომიტეტმა განაცხადა, რომ ოლიმპიური თამაშების დროს მიღებული იქნება საჭირო ღონისძიებები იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ აშკარად მტრულ საქმიანობას ეწევიან.

სოკ-ის ხელმძღვანელთა შეშფოთება გამოიწვია დენვერისა და მონრეალის 1976 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტების წარმომადგენელთა მოხსენებებმა. როგორც ირკვევა, იქ უკვე საწყის სტადიაში იჩინა თავი მთელმა რიგმა სიძნელეებმა, მათ შორის, ფინანსურმაც.

სოკ-ის აღმასკომმა მოიწონა ოლიმპიური კონგრესის მოსამზადებელი კომიტეტის მოხსენება. ეს კონგრესი დიდი ხნის შესვენების შემდეგ ვარნაში (ბულგარეთი) მოეწყობა 1973 წლის 30 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე.

სხდომამ დაამტკიცა გადაწყვეტილება ორი მოყვარული სპორტსმენის — გამოდევნებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონ მ. როდრიგესისა (კოლუმბია) და მსროლელ ვ. პრესტონის (კენია) დისკვალიფიკაციის შესახებ. როგორც ცნობილია, ეს სპორტსმენები თავიანთ სახელსა და პოპულარობას კომერციული ნიზნით იყენებდნენ.

გადაწყდა, რომ მიუნხენის ოლიმპიადის დროს სატელევიზიო კომპანიებისგან მიღებული თანხა განვითარებადი ქვეყნების სპორტსმენთა დასახმარებლად გადაიდოს.

აღმასკომის სხდომამდე სოკ-ისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების შეხვედრა მოეწყო. შეხვედრაზე გამოითქვა აზრი ოლიმპიური თამაშების პროგრამის შეცვლის შესახებ. ეს ცვლილებები ძირითადად ეხებოდა ქალთა უფრო ფართო მონაწილეობას აკადემიურ ნიჩბოსნობასა და სროლაში. გამოითქვა სურვილი, რომ პროგრამაში შეიყვანონ მხატვრული ტანვარჯიში, ყინულზე ცეკვა. ამ წინადადებებს სპეციალური კომიტეტი შეისწავლის მიუნხენში სოკ-ის მორიგი სესიის დაწყებამდე.

● რონნო, 31 მაისი. საბჭოთა კავშირის გმირის, პოლკოვნიკ ვ. სკოპენკოს სახელობის საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებმა პოლონეთისა და უკრაინის გზებზე 850 კმ უკან მოიტოვეს და დღეს აქ ჰქონდათ ფინიში. 7 ეტაპის ჯამში საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა კიშინიოველ ი. პოლუპანოვს. საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა რიგელი რ. კალნენიექსი (ორივე — საბჭოთა არმია), მესამეზე — ლვოველი ვ. ჩაპლიგინი („ლოკომოტივი"). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა არმიის ველოსიპედისტებმა. მეორე პრიზი ერგოთ უკრაინის „ავანგარდის" მრბოლელებს, მესამე — ლზს „კუიავის" წარმომადგენლებს (პოლონეთი). პოლონელთაგან თავი გამოიჩინა ფ. ანჯეევსკიმ (ლზს „კუიავი"), რომელმაც VI ადგილი დაიკავა. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთაგან საუკეთესო იყო XVIII ადგილზე გასული ბრნოელი მ. კოსტკა („დუკლა") და „დუკლას" გუნდი (VI ადგილი). როვნოელები გულთბილად შეხვდნენ რბოლის მონაწილეებს. შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე მოასპარეზეებს მიესალმნენ საბჭოთა არმიის ვეტერანი ვ. სიდორენკო და გმირის ვაჟი, კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ვიქტორ სკოპენკო.

● ლას-პალმასი, 1 ივნისი. ესპანეთის ამ ქალაქში (კანარის კუნძულები) მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. ლიდერობა ხელთ იგდო მოსკოველმა დიდოსტატმა დ. ბრონშტეინმა, რომელმაც დაამარცხა ჰიუგე (საფრანგეთი), გეორგიუ (რუმინეთი) და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მედინასთან (ესპანეთი). ბრონშტეინს 2,5 ქულა დაუგროვდა. მეორე საბჭოთა მონაწილეს, მოსკოველ დიდოსტატ ვ. სმისლოვს ქულა აქვს. დიდოსტატებიდან ზემოაღნიშნულთა გარდა ტურნირში მონაწილეობენ ლარსენი (დანია), პორტიში (უნგრეთი), ბენკო (აშშ).



სახელგანთქმულ ფრანგ კინოვარსკვლავს მილენ დემონჟოს საბჭოთა მაყურებლები კარგად იცნობენ ფილმიდან „სამი მუშკეტერი", სადაც იგი მილედის როლს თამაშობს. დემონჟო ძალიან ხშირი სტუმარია პარიზის ერთ-ერთი გარეუბნის რამბუიეს სპორტული დარბაზისა. მართალია, მსახიობი იძულებული გახდა დროებით შეეწყვიტა ვარჯიში — კანადას გაემგზავრა „რამდენიმე ჰექტარი თოვლის" გადაღებაზე. მაგრამ, როგორც კი ფილმის გადაღება დამთავრდა, საჭიდაო კიმონოში გამოწყობილი მსახიობი ისევ გამოჩნდა სპორტულ დარბაზში.

დემონჟოს მუდამ თან ახლავს თავისი 10 წლის ვაჟი სერჟი, რომელიც მარკ სიმენონთან პირველი ქორწინებიდან ჰყავს. სხვათა შორის, მორიგი განქორწინების შემდეგ დემონჟო ისევ გათხოვდა.

■ მილენ დემონჟო ძიუდოს კიმონოში

■ ჯული ჰელდმანის კოსტიუმი



ცნობილმა ლონდონელმა მოდელიერმა ტედი ტინლინგმა თავისი ახალი მოდელების ჩვენება მოაწყო და მანეკენებად უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირის მონაწილე ქალები მიიწვია, მათ შორის იყო ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი ჯული ჰელდმანი. ტ. ტინლინგმა მისთვის შექმნა ახალი საჩოგბურთო კოსტიუმი, რომლითაც ჰელდმანი შეჯიბრებებში გამოდის.

სურათზე: ჯ. ჰელდმანი ახალ საჩოგბურთო კოსტიუმში.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ არენებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 8 ივნისი. „ისნის" სტადიონი. „ისანი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია). დასაწყისი 12 ს. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „განთიადი" (ბორჯომი). 12 ს. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (ზუგდიდი). 17 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448 | საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02560